საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 273

2019 წ. "24" 12

ქ.თბილისი

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ თუ აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან"

და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.3. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, ცენტრის წინაშე იშუამდგომლოს აკრედიტაციის პირობების გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგის გზით. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ცენტრი აკონტროლებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის პირობების შესრულებას.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 12 აგვისტოს სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №1172328განაცხადი (ცენტრში რეგისტრაციის №1172328, 2019 წლის 10 სექტემბერი; №1184175, 2019 წლის 12 სექტემბერი,) „ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 9 ოქტომბრის №940 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 22 ნოემბრის №1130 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 10 დეკემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, ხოლო 2019 წლის 23 დეკემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

თავმჯდომარე

მდივანი

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2019 წლის 24 დეკემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

2.5. საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა იშუამდგომლოს ცენტრთან დაწესებულების მიერ აკრედიტაციის პირობების შემოწმების თაობაზე განხორციელდეს გეგმიური მონიტორინგი 2020 წლის 1 ივნისამდე.

3. სარეზოლუციო ნაწილი

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის, 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 2019 წლის 12 აგვისტოს №1038632 სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2.. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3.. ცნობილ იქნას საბჭოს 2019 წლის 24 დეკემბრის №72 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) პროგრამის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ასევე, მიმდინარე საგანმანათლებლო რეგულაციებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საგანმანათლებლო კურსის/კურსების შეთავაზება დარგობრივი მიმართულებების მიხედვით;

ბ) 2019 წელს შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით, რომელიც 2020 წლის 1 ივნისიდან შედის ძალაში, მნიშვნელოვანია პროგრამამ განიცადოს რეორგანიზაცია და დაწესებულებამ მოახდინოს აკადემიური რესურსების მობილიზება. პროგრამის განვითარების გეგმაში შევიდეს ახალ დარგობრივ

თავმჯდომარე

მდივანი

მახასიათებლებზე გადასვლა, დაემატოს შესაბამისი სასწავლო კურსები და მოხდეს ენობრივი დონეების მიხედვით სასწავლო კურსების დიფერენცირება;

გ) ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს სტუდენტის საწყისი ენობრივი კომპეტენციები პირველი სემესტრის დასაწყისში პრეტესტის საფუძველზე;

დ) მიზანშეწონილია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების შემუშავება ცენტრის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დარგობრივი მახასიათებლები ძალაში შედის 2020 წლის ივნისიდან, როდესაც პროგრამამ უნდა დაიწყოს ფუნქციონირება 2020-21 სასწავლო წლისათვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, 2020-21 სასწავლო წელს სტუდენტებმა სწავლა დაიწყონ ახალ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც შესაბამისობაში იქნება მიმდინარე საგანმანათლებლო რეგულაციებთან;

ე) ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში, პირველ სემესტრში, მნიშვნელოვანია აისახოს სტუდენტთა საწყისი კომპეტენციების ენობრივი დონეების მიხედვით საგნების დიფერენცირება;

ვ) მიზანშეწონილია, პროგრამაში განსაზღვრული იყოს დონეების მიხედვით განსხვავებული საკონტაქტო საათები;

ზ) პროგრამის სტრუქტურაში მიზანშეწონილია დაემატოს მეორე სემესტრიდან დარგობრივი სავალდებულო/არჩევითი კურსები, რომლებიც სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ქართულენოვან მიმართულებებზე/ფაკულტეტებზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში რელევანტური იქნება არაქართველი სტუდენტებისათვის.

5. განხორციელდეს აკრედიტაციის პირობების შემოწმება გეგმიური მონიტორინგის გზით 2020 წლის 1 ივნისამდე.

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს (2020 წლის 15 იანვარი).

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

სხდომის თავმჯდომარე — გიორგი ამილახვარი

სხდომის მდივანი — სალომე თოთიბაძე

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ქართულ ენაში მომზადება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 04 დეკემბერი, №245
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	-
7	კვალიფიკაციის დონე[5]	-
8	კვალიფიკაციის დასახელება	-
9	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
10	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
11	კვალიფიკაციის კოდი[7]	-
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო 1400, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ.N68, სასწავლო კორპუსი №2
15	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 15 იანვარი
16	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	გეგმიური მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა - 2020 წლის 1 ივნისამდე
17	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 15 იანვარი

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი
[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი